ᲘᲛᲘᲢ

# სამშობლო

წ. I 1915 წ. ხუთშაბათი 19 მარტი

ფასი: წლიურათ 8 მ., ნახევარი წლით 5 მ., თვიურათ 4 აბ. ცალკე ნუმერი ერთი შაური. დამატებით 7 კაპ. წლიური ხელის მომწერლებს გაზეთი [illegible] ნაწილნაწილათ გადაიხადონ. ხელის მოწერის დროს 3 მ., დანარჩენი კი [illegible]
განცხადების ფასი: ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე [illegible] 15 კ., უკანასკნელზე 10 კ. სხვა ადგილებიდან კავკასიის გარეშე მიღებულ განცხადებათა ფასი: სტრიქონი პეტიტი ტექსტის წინ 20 კაპ., უკან 15 კ. სამგლოვიარო განცხადებას დაბეჭდვა თითოჯერ ნაშუადღევის 2 საათ. ღირს 3 მ. 2 საათს შემდეგ 4 მან.

№ 39 ყოველდღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი № 39

„სამშობლო დედის ძუძუი, არ გაიცვლების სხვაზედა,
ორივ ტკბილია ძმობილო, მირჩევნის ორსავ თვალზედა,
როგორც უფალი, სამშობლოც ერთია ქვეყანაზედა“.

ამიერიდან ქ. ქუთაისში გამოდის ახალი საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი.

„სამშობლო“
ყოველკვირეული სურათებიანი დამატებით

გაზეთი ღირს:
ერთი წლით 8 მანეთი, ნახევარ წლით 5 მან. ერთი თვით—ოთხი აბაზი.
ცალკე ნუმერი ერთი შაური, დამატებიანი—7 კ.
ადრესით: ქუთაისი, რედაქცია „სამშობლო“.
ვსთხოვთ ომში დაჭრილთა და მოკლულთა ნათესავ-მეგობრებს მოგვაწოდონ მათი სურათები.

რედაქტორი ი. თ. ციცაძე.

ქვრივი მარინე ნიკოლოზის ასული ნანუკაშვილისა, შვილები ლადო, მაშო და ეკატერინე, რძალი ელენე პავლეს ასული, სიძეები, ალექსანდრე ელიზბარის ძე შანიძე, ამბროსი დარისპანის ძე ბარათაშვილი და სამსონ სიმონის ძე მიქიაშვილი, შვილიშვილი კალისტინა მიქიაშვილის ასული, აუწყებენ ნათესავთა, მახლობელთა და ნაცნობთ, რომ ოთხშაბათს, 25 მარტს, დაბა ონში ადგილობრივ ეკლესიაში დილის 10 საათზე გადახდილ იქნება ორმოცის წირვა და პანაშვიდი

მღვდელ გრიგოლ ნანუკაშვილის
სულის მოსახსენებლათ.

1—1—121

უდიდესი სპეციალური წიგნის მაღაზია
კ. ი. ოცხელის და ამხ. ქუთაისში
ალექსანდრეს ქუჩა, თფილ. კომერც. ბანკის ქვეშ.
კ. ი. ოცხელისა და ამხ. წიგნის მაღაზიაში მოიპოვება ყოველ გვარი სახელმძღვანელო და საკითხავი წიგნი: ბელეტრისტული, პედაგოგიური, იურიდიული, საბავშო და მრავალი სხვა. აგრეთვე კალენდრები 1915 წლის: ჯიბის, კედლის, იურიდიული, საექიმო და სხვა. ატლასები, თვალსაჩინო სურათები. გეოგრაფიული ქარტები, მათ შორის ომის ქარტები დაწყებული 6 მანეთიდან ვიდრე 3 შაურამდი
გვერდით გამართულია ცნობილი საკანცელარიო მაღაზია დ. ი. ოცხელისა, სადაც მოიპოვება ყოველნაირი სამოსწავლო საკანცელარიო ნივთები.
— კატალოგები უფასოთ — თ.

ამით, ვაცხადებ, რომ ჩემი თხზულების მეორე ტომის გამოცემა სხვა და სხვა მიზეზის გამო შეჩერებულია. იმედი მაქვს ახლო მომავალში გამოცემას შევუდგები. აპოლონ ცინცაძისაგან გაცემული კვიტანციების პატრონები ჩემგან მიიღებენ წიგნს.

ია ეკალაძე.

ყოველი მეაბრეშუმესათვის ცნობილი ფირმის
ძმათა პასხალიდის
აბრეშუმის თესლი
უკვე მიღებულია და იყიდება ქუთაისში
ნიკიფორე მ. ჯანელიძის მაღაზიაში;
ბათომსა და ჭიათურაში მ. ს. მანუილიდის კანტორაში და ახალსენაკში ილია იაკიმიდის მაღაზიაში ხელსაყრელ ფასათ. მსურველს შეუძლიან დაიკვეთოს რამდენიც სჭირდება დროზე.

თ. 69.

სკოლა ტყეში
537 საჟ. ზღვის ნაპირ. ზ. გ. არჯევანიძისა ზაფხული მეორე.
გამართულია საზაფხულო სკოლა პანსიონით და საყმაწვილო ბაღით 6—12 წლის ჯანით სუსტი ბავშვებისათვის ფიჭვნარში, სოფ. წ[illegible]ლკერში (დიდი მთავრის ბორჯომის მამულში). 1915 წლის სეზონი გაიხსნება 1 მაისს. ბავშვების ჩაწერა საჭიროა ამთავით. მსურველთ ცნობები გაეგზავნება უფასოთ.
თფილისი, მალაკნების ქ., 27; პირადათ საღ. 4—6 საათზე. ქუთაისში დაწვრილებით ამბის გაგება შეიძლება მეორე უმაღლეს პ.—დ. სასწავლებლის მასწ. კ. ჯუღელთან. ზაფხულობით: Цагвери, мѣстная школа.
4—1. № 117.

გაფრთხილება.
ს/ს გოკიელოვის—შ-ბი
ქუთაისში

ამით აუწყებს მეაბრეშუმე-მწარმოებლებს, რომ გაზეთებში გამოჩნდა ცნობები შესახებ იმისა, რომ ზოგიერთი თესლის გამყიდველები სარგებლობენ არეული დროით და გამოაქვთ ბაზარზე ყალბი (ცუდი) თესლი და მას, (რაც ფრიად სამწუხაროა) ათასგვარი საშუალებით—სხვა და სხვა ცნობილი ფირმის თესლის სახელით ასაღებენ ხახლში. ამისათვის
ხ. ხრისტოდულიდის
გასული წლების მსგავსად წელსაც მოუცილებელ საჭიროდ ვცნობთ, რომ თესლის მყიდველნი მეაბრეშუმენი არ მოტყუვდენ და თავიდან აიცდინონ სიყალბე, გავაფრთხილოთ: დააკვირდით ჩვენს ფირმას—გარეთ კოლოფს აქვს იარლიკი ქართული წარწერით (თეთრ ქაღალდზე) და ასვია „შტემპელი“, აწერია „ს/ს. გოკიელოვის შ—ბი“, შიგნით კოლოფში თეთრ ბლონდიდან გაკეთებული პატარა ტოპსიკებზე, რომელშიაც კაკალია აჩის „შტემპელი“ რუსულ-ქართული წარწერით „ხ. ხრისტოდულიდისის“ და ს/ს გოკიელოვის შ—ბის“, აქვე დასმულია ლუქით ბეჭედი, რომლის სიმთელეს აუცილებლათ ყურადღება უნდა მიექცეს. მიაქციეთ ყურადღება,—რომ კოლოფს არგვლივ შემოყოლებული სათანადო მთავრობის ბანდეროლი აუცილებლათ მთელი იყოს. თ.

თესლის გაყიდვა გძელდება.

კბილის მენალარიშრილი და ტრუფაექიმები. ნოვა. დროებით ბათომიდან გადმოვიდენ ქ. ქუთაისში. თფილისის ქუჩა, სახლი ბახტაძისა, ფირალოვის თუთუნის ფაბრიკის გვერდში. ავათმყოფებს ღებულობენ დილის 9—1 და საღამოს 4—6. არჩენენ ავათმყოფობას კბილებისა და ღრძილებისას. აკეთებენ ხელოვნურ კბილებს: კაუჩუკზე, ოქროზე და ალუმინზე. ღრძილების ავათმყოფობას არჩენენ რამდენიმე სეანსზე ახალი საშუალებით. თ.

ექიმი გაბრიელ იოს. გოკიელის ელექტრონისა და სინათლის კაბინეტი. შინაგანი ნევრებისა და ვენერიულ ავათმყოფების მიღება დილის 9—12 საათ. საღ. 9—8 საათ. ალექსანდრეს ქუჩა, საკუთარი სახლი.

ექიმი ი. ჩარექოვი ქალაქის საავათმყოფოს ორდინატორი. განაახლა კანის, ვენერიულ და სიფილისიანი ავათმყოფების მიღება ახალ ბინაზე, დილით, 12—2 საათ. საღამ. 6—8 საათ. მისამართი: ლევაშოვის ქუჩა, ალბეგოვის სახლში. (თ.)

ბებია მ. მ. კოხრეიძე უვლის ყვავილს, უკეთებს ნემსებს, ეხმარება მშობიარეთ და აძლევს ავათმყოფთ რჩევადარიგებას ყოველ დროს.
ალექსანდროვის ქუჩა, სახლი თევდორაძისა, ფელიპოვის მაღაზიის პირდაპირ.

სტუდენტი
ვარლამ ფერაძე (9 წლის პრაქტიკით)
ვამზადებ და ვუსწორებ გაკვეთილებს ყველა კლასების მოწაფეებს ყველა საგანში. (სპეც.: რუსული, ლათინური, მათემატიკა და ფიზიკა). შედგა ჯგუფები სხვადასხვა კლასისათვის, აფთიაქის მოწაფეების, ჩინზე, სიმწიფ. მოწმობ. და სხვა.
მისამართი: ჭავჭავაძის ქუჩა, ციხის იქით, იკითხეთ დუქანს მაღაზიაში დევიძის სახლი.
14—5

## ომი

პეტროგრადის დეპ. სააგენტოსაგან.

### რუსეთ-გერმანიის ასპარეზი.

**პეტროგრადი.** 16 მარტი. ოფიციალური. მთავარ-სარდლის შტაბისაგან. მდ. ნემანიდან დასავლეთის ფრონტზე გერმანელების ჯარის შეტევა ჩვენ შევაჩერეთ. შეტევას შეხვედრითი ხასიათი ჰქონდა. გერმანიის 21 კორპუსის ერთი ბატალიონი, რომელმაც გაყინულ ტბიდან დუსიადან, წამოგვიარა 14 მარტს სოფ. ეზერეკთან ხიშტიანი იერიშით გავანადგურეთ. ოსოვეცთან მტრის არტილერიამ ცეცხლი თითქმის შესწყვიტა. შკვასა და ორჟიცის შუა ბრძოლა გრძელდება. ბახის ასაღებათ ბრძოლის დროს გერმანელებს ათი ტყვიისმტყორცნელი წავართვით. კარპატებზე გორლიცისა და ბარტფელს შუა 14 მარტს, სოფელ გლადიშევასთან და რეგეტოვთან ავსტრიელებს შეუპოვარი იერიში მოვჰკრნდათ, მაგრამ ვერაფერს ხდებოდენ. ზემოსანის მარცხენა ნაპირზე რადლეიოვისა—პოლანკასი—ზ ვესა და იავორჟის ნაწილებში ჩვენ წინ წავიწიეთ და 600 მეტი დავატყვევეთ, ორი ტყვის მტყორცნელი ვხელთეთ. 14 მარტს, გერმანელების ახალი იერიში კოზიუვკთან მოგერებულ იქნა.

**პეტროგრადი.** 17 მარტი. ოფიციალური. მთავარ სარდლის შტაბისაგან. საღამოს, 15 მარტს, ქალ. ლიბავასთან გერმანელების გემები მოვიდენ და 200 ყუმბარა ესროლეს. ქალაქში მოკლულია ერთი მშვიდობიანი მცხოვრებელი და ერთიც დაჭრილი. სამხედრო პირებისთვის ვნება არ მიუყენებია. ნემანიდან დასავლეთის ფრონტზე ბრძოლა გრძელდება. 15 მარტს, სოფელ სტრუმბა-გლოვოსთან ლომძიდან ჩრდილო დასავლეთით 12 ვერსის მანძილზე, გერმანელების ბატალიონის ჩამორჩენილმა ნაწილმა რიცხვით 250 კაცმა, რომელზეც ჩვენ იერიში მივიტანეთ, იარაღი დაყარა. ნარევის მარჯვენა ნაპირზე შკვასა და ომულევის შუა ტყიანი ადგილებისა და სიმაღლეების ასაღებათ ბრძოლა გრძელდება. სოფ. ვახის რაიონიდან მტერი გავსდევნეთ. კარპატებზე ბარტფელდისა და უჟოკის გზებს შუა ჩვენი მოქმედება წარმატებით ვითარდება. მიუხედავათ მტრის შეუპოვარი წინააღმდეგობისა და ჩვენზე მოტანილ გაფთრებული იერიშებისა, ჩვენ ხელახლათ სიმაღლეებზე დავიჭირეთ გამაგრებული პოზიციები, მასთან დღე-ღამის განმავლობაში, 16 მარტის დილამდი ჩვენ დავატყვევეთ 76 აფიცერი, 5384 ჯარისკაცი, ხუთი ზარბაზანი, 21 ტყვიისმტყორცნელი და ერთი ნაღმის მტყორცნელი ვიხელთეთ. 15 მარტს, მტრის რაზმმა ჩერნოვიციდან შემოგვიტია, შემოიჭრა ჩვენს საზღვარზე და ხოტინს მოუახლოვდა. მათ წინააღმდეგ მიღებულია ზომები.

### დასავლეთის ასპარეზი.

**პარიზი.** 16 მარტი. დილის ოფიციალური ცნობა. იპრის რაიონში მტრის სადარაჯო პუნქტთან ნაღმი ავაფეთქეთ. ეპარჟთან მტერი ცდილობდა დაებრუნებინა 14 მარტს დაკარგული თხრილები, მაგრამ, გაფთრებული ბრძოლის შემდეგ, ჩვენ დაჭერილი ადგილების დიდი ნაწილი შევინარჩუნეთ, თუმცა მტერმაც ზოგიერთი ადგილი დაიბრუნა. სხვა პუნქტებზე წინ წავიწიეთ. საღამოს ოფიციალური ცნობა: მტერმა სროლა აუტეხა ქალ. ნიუპორსა და ზღვის კურორტს ნიუპორს. სადარაჯო ადგილს მცირე ზიანი მიაყენა. იზერის გზით ბოსეჟურთან საარტილერიო ბრძოლა იყო. არგონის სიმაღლეზე არტილერიის ცეცხლით ვიბრძვით და ერთმანეთს ყუმბარებს ვუშენთ. ბრძოლა მტკიცე ხასიათისაა. დანარჩენ ფრონტებზე დღემ მშვიდობიანათ ჩაიარა. ქვეითა ჯარს ბრძოლა არ ჰქონია. ოფიციალური ცნობა დაწვრილებით აგვიწერს საპით ბრძოლას, რომელსაც ამჟამათ არგონის ტყეში აქვს ადგილი. აქ ფრანგები და გერმანელები ისე ახლოს არიან ერთმანეთზე, რომ სახელდახელო გრანატებითა და ყუმბარებითა ებრძვიან ერთმანეთს. საპის საშუალებით წინ მივიწევთ. მაღაროები ერთმანეთზეა გადახლართული და ერთმანეთს ხვდებიან. ერთი მხარე ცდილობს მეორეს მოასწროს და ააფეთქოს, მეორე გაურბის და, და თუ თავს უშველა, იღუპება. არგონის სიმაღლეზე ფრანგ საპიორების მუშაობაზე შეგვიძლია ვიქონიოთ წარმოდგენა, თუ რომ ყურადღებას მივაქცევთ ფურდეპარისა და ერს შუა მათგან ნაღმიანის ფარდულების დამზადებას, რომელიც 3000 მეტ. სივრცეს უდრის. ავაფეთქეთ 52 ნაღმი, რაზედაც 70 ათასი კილოგრამის ასაფეთქებელი ნივთიერება დაგვეხარჯა.

## სხვა და სხვა ამბები.

პეტროგრ. დეპ. სააგენტ.

**ლონდონი.** 16 მარტი. დიეპიდან ლენილ უელსში მოსული გემ „ლიცის“ კამანდა იტყობინება, რომ ჩვენმა გემმა კუნძულ უაიტას ახლოს გერმანიის წყალქვეშა ნავი დაღუპა.

**ლონდონი.** 16 მარტი. რეიტერმა სარწმუნო წყაროდან გაიგო, რომ ამასწინათ გერმანია შეეცადა რუმინიაზე დიპლომატიური ზეგავლენა მოეხდინა და ამნაირათ მისგან ნებართვა ეღო რუმინიის გზით ოსმალეთში თავისი ერთი კორპუსი გადაეყვანა, მაგრამ რუმინიამ უარი უთხრა.

**ლონდონი.** 16 მარტი. საადმირალო იტყობინება, რომ ჰოლანდიის გემი „მსტელი“, რომელიც როტერდამის ფირმას ეკუთნოდა, როტერდამიდან როცა მოდიოდა გერმანიის მიცურავე ნაღმების რაიონში ფლემბეროსთან ნაღმს წააწყდა. ეკიპაჟი ხემბერში მიიტანეს. ლივერპულიდან ლისაბონს მიმავალი გემი „გაული“ პემპროგასთან აფეთქებულიყო და ჩაიძირა გემის კამანდის შემადგენლობას 28 კაცი აკლია და სამი მგზავრი, კაპიტანი და კამანდის 19 კაცი ფიშგარდში მოვიდენ. გემი „ფალაბა“ მილფორდთან ნაღმისგან აფეთქებულიყო და ჩაიძირა ზედ მყოფი 260 კაცი გადაარჩინეს.

**სოფია.** 16 მარტი. სახალხო კრებაზე, ვიდრე უქაზს წაიკითხავდენ, სესია დაიხურა. რადოსლავოვმა სიტყვა წარმოსთქვა, რომელშიც სთქვა: მე განზრახვა მაქვს კიდევ გავიმეორო წინანდელი განცხადება, რომ მთავრობა იცავდა და კიდევაც დაიცავს მტკიცე ნეიტრალიტეტს. იგი არავის ზეგავლენას არ დაემორჩილება და უნიადაგო ოცნებას არ აჰყვება, რადგანაც ბულგარეთის რეალური ინტერესები ყველა გრძნობიერებაზე მაღლა უნდა იდგეს. ხალხს შეუძლია მთავრობას ნდობით მოეკიდოს, რომლის პოლიტიკაც სამშობლოსთვის მუდამ სასარგებლო იქნება. ბულგარეთს წინათვე არ შეუძლიან რაიმე დავალება იკისროს, ვინაიდან ამ შემთხვევაში ბულგარეთი თუ წააგებს, თორემ მოგებით კი არაფერს მოიგებს ბულგარეთი-

# დღეს რა მოხდა.

მდ. ნემანის დასავლეთის ფრონტზე გერმანელები შეტევას განაგრძობენ.

შკოვსა და ორჟიცის რაიონში ბრძოლა კვლავ სწარმოებს.

სოფ. გლადიშევასთან და რეგეტოვთან ავსტრიელებს რუსის ჯარის წინააღმდეგ თავგანწირული იერიშები მიაქვთ, მაგრამ ვერას ხდებიან.

ზავლისა და იავორჟის ნაწილებში რუსის ჯარმა ბრძოლით წინ წაიწია და 600 მეტი ტყვე ჩაიგდო ხელში.

ნარევის მარჯვენა ნაპირზე შკვოსა და ომულევის შუა ტყიანი ადგილებისა და სიმაღლეების ასაღებათ მოპირდაპირენი თავგანწირულ ბრძოლას აწარმოებენ.

კარპატებში, ბერტველდისა და უჟოკის გზებს შუა სამხედრო მოქმედება რუსის ჯარის სასარგებლოთ ვითარდება.

**დასავლეთის ასპარეზზე.**

ეპარჟთან გერმანელები და ფრანგები გაათფთრებულ ბრძოლას აწარმოებენ. ცდილობენ დაკავებული თხრილები ერთმანეთს წაართვან.

არგონის სიმაღლეზე საარტილერიო ბრძოლა სწარმოებს. მოპირდაპირენი ერთმანეთს ნაღმებით ებრძვიან.

ინგლისის გემმა კუნძულ უაიტს ახლოს გერმანიის წყალქვეშა ნავი დაღუპა.

ჰოლანდიის გემი „მსტელი“, როტერდამიდან მიმავალი, გერმანიის მოცურავე ნაღმს წააწყდა და დაიღუპა.

ლივერპულიდან ლისაბონს მიმავალი გემი „აგუილა“ პემპროგსთან აფეთქდა და ჩაიძირა.

გემი „ფალაბა“ მილფორდთან ნაღმს წააწყდა და დაიღუპა. კამანდა 260 კაცი გადარჩა.

ქალაქ ლიბავასთან გერმანიის გემებმა 200 ყუმბარა ისროლეს. მოკვდა ერთი მშვიდობიანი მცხოვრები, ერთიც დაიჭრა.

**დარდანელთან.**

14 მარტს, მოკავშირეთა ესკადრა კილიდბარის სიმაგრეს ყუმბარებს უშენს.

მოკავშირეებმა ტელეგრაფი დაიჭირეს და ცენზურა შემოიღეს.

მა დასავლ. მხრიდან უნდა გაიმაგროს თავი. ვინიცობაა ჩვენ ინტერესებს ვინმე დაარღვევს, მაშინ მთელი ბულგარეთი ფეხზე დადგება და ერთნაირ გადაწყვეტილებას დაადგება. შემდეგ რადოსლავოვმა ბალკანეთის ფედერაციის შესახებ სოციალისტების პროექტი დაჰგმო და განაცხადა, რომ მისი განხორციელება შეუძლებელია, რადგანაც ცალკე სახელმწიფოების ინტერესების შეთანხმება ძნელიაო. ბოლოს განაცხადა, რომ თქვენ ახლა იცით მთავრობის უკანასკნელი სიტყვა, რომელსაც სურს ბულგარეთის მშვიდობიანობა ნეიტრალიტეტის დაცვით უზრუნველ ჰყოს და ვინც თავის თავს უფრო გაბედულათ გრძნობს და სურს ბულგარეთი ომში ჩარიოს, მოვიდეს და ჩვენი ადგილი დაიჭიროსო.

**სოფია.** 17 მარტი. კონსტანტინოპოლიდან იტყობინებიან, რომ ოსმალეთის ძალები, რომელიც თავმოყრილია დარდანელსა და მის მიდამოებში მეხუთე არმიას შეადგენს. რომლის ხელმძღვანელობა პირველი არმიის ყოფილ კამანდირს მარშალ ლიმან ფონ-სანდერსს აქვს მინდობილი.

**სოლუნი.** 17 მარტი. კუნძულ ტონედოსიდან იტყობინებიან, რომ მოკავშირეებმა ტელეგრაფი დაიჭირეს და ცენზურა შემოიღეს. 14 მარტს, ღამით მოკავშირეთა ესკადრა დარდანელში შევიდა და კილიდბარის სიმაგრეს ყუმბარები დაუშინა. 15 მარტს, საროსის ყურედან ზარბაზნების დიდი გრიალი ისმოდა. სრუტეს წინ მდგომმა ჯავშნოსანმა კრიტის პოზიციას ყუმბარები დაუშინა. ავიატორები ფლოტს დაზვერვით ეხმარებიან.

**პეტროგრადი.** 17 მარტი. 16 მარტს, დილით ჩვენი ფლოტი ბოსფორის გარეგან სიმაგრეებს მიუახლოვდა და ნისლიან ამინდის გამო ფორტებისთვის ყუმბარები აღარ დაუშენია. ჩვენმა ერთმა პატარა გემმა ოსმალების საესკადრონო ნაღმოსანს აუტეხა სროლა, რომელმაც პირველივე სროლის შემდეგ ბოსფორს მიაფარა თავი.

**ლონდონი.** 17 მარტი. გემი „ფალაბა“ 4800 წყალრწყვით, რომელიც სამხრეთ-აფრიკის სატრანსპორტო სანაოსნო ამხანაგობას ეკუთნოდა, მილფორდთან წასულ კვირას გერმანიის წყალ-ქვეშა ნავის ნაღმით აფეთქდა და დაიღუპა. გემის გადასარჩენათ ზღვაში ჩაშვებული ხუთი ნავი და გემის კაპიტანიც დაიღუპა. გადარჩენილი მგზავრები იტყობინებიან, რომ გერმანელი მეზღვაურნი იქვე ახლოს იყვნენ, სადაც მგზავრები იღუპებოდენ და ხელიც არ გაუნძრევიათ ვისმეს გადასარჩენათ, პირიქით, დასცინოდენ მათ, ვინც თავის გადასარჩენათ წყალს ებრძოდა. დაღუპული გემ „აგუილას“ გადარჩენილი მგზავრები იტყობინებიან, რომ გერმანიის წყალქვეშა ნავმა ეკიპაჟს სროლა აუტეხა, რომლის დროსაც მოკლულ იქნა სამი კაცი, მგზავრი მოსამსახურე ქალი და ოთხი მეზღვაური დაიჭრა.

# ომი და ინგლისის მუშები.

(გაზეთიდან.)

მუშათა უკმაყოფილება განსაკუთრებით იმ დროს, როცა ქვეყანა საშინელ და უწყვეტრავლესათ გაჩაღებულ ომის ცეცხლშია გახვეული, რა თქმა უნდა, არც ერთი სახელმწიფოსთვის სასიამოვნო და სასარგებლო არ; არის მაგრამ კიდევ უფრო მავნებელი და საშიშია მისთვის ამ უკმაყოფილების რეპრესიებით მიმალვა-მიყუჩება.

ამ აზრს ინგლისის მთავრობა იმ თავიდანვე ადგია სწორეთ, ამათ მოიპოვამან „დიდი ლიბერალის“ სახელი, დღესაც მტკიცეთ დგას იგი ამ აზრზე და ამიტომ მუშათა უკმაყოფილება—მოძრაობის წინააღმდეგ რეპრესიების მიმართვის ნაცვლათ იგი ეძებს და იკვლევს ამ მოვლენის მიზეზებს და მისი გავლენის თავიდან აშორებას ამ გზით ცდილობს.

მაგრამ უნდა ვაღიაროთ, რომ ეს ფაქტები ინგლისის მუშების ნაკლებ პატრიოტიზმს და სამშობლოსადმი სიყვარულის სისუსტეს სულაც არ მოწმობენ. პირიქით აურაცხელი მაგალითია იმისა, რომ როგორც საზოგადოთ საშუალო წრეები, ისე მუშებიც აღტაცებით მიეგებენ ჯარში გაწვევის მოწოდებას და ასი ათასობით წავიდენ ვოლონტერებათ, თავისუფალ ჯარის კაცებათ. ისეთი შემთხვევაც ხშირი იყო, რომ უკვე ხანში შესული ცოლშვილიანი მუშაც კი, რომელსაც საკმაო შემოსავალი სამუშაო ჰქონდა, თავისუფალ მეომრად ეწერებოდა, რადგან ასეთ დროს, როცა სამშობლოს განსაცდელში ხედავდა, სახლში ჯდომა მისთვის აუტანელი იყო.

მაგრამ ინგლისის ცხოვრებაში, როგორც ეს დღეს ყველგან არის შენიშნული, ერთმა მოვლენამ დიდისძლიერებით იჩინა თავი. ეს არის „საარსებო საგნების“ ფასების აწევა: „ცხოვრების გაძვირება“. თუმცა ეს ახალი მოვლენა არ არის ის ომამდეც იყო, მაგრამ ახლა ამ ომიანობის პირობების გამო როგორც სხვაგან, ისე ინგლისშიაც მეტათ შემავიწროებელი და შემხუთველი შეიქნა განსაკუთრებით მუშებისათვის.

1914 წ. მაგალითად, მუშის ოჯახი, რომელიც საშუალოთ ოთხი სულისაგან შედგება, პურზე ხარჯავდა კვირაში სულ —1 შილინგსა და 10 პენსს, ახლა კი იმდენივე პურში უნდა მისცეს 2 შილინგი და 8 პენსი. თუ წარსულ წელში მუშის ოჯახი საჭმელ-სასმელზე კვირაში სულ ხარჯავდა 19 შილ. და 8 პენსს, ახლა კი იმდენივე საჭმელ-სასმელი მას 24 შ. და 6 პენ. უჯდება. გაფიცული მუშები უმთავრესათ ამ მოვლენას აღნიშნავდენ თავიანთ მოთხოვნილებაში.

ახლაც სიძვირე ყველაფერზე სულ უფრო და უფრო მატულობს, განსაკუთრებით პურზე, ნახშირსა და ხორცზე. ზძალიან აუწევს ფასები აგრეთვე სახლი პატრონებმაც. ბინის ქირა ძალიან გაიარდა და ეს სიმძიმე სულ ერთიანათ მუშათა მასას აწვება; „შეძლებულები“ 3 დან 7 წლამდი კონტრაქტით ქირაობენ ბინას და ამით ისინი ქირის მომატებას და ბინის გაძვირებას თავიდან იშორებენ; მაშინ როდესაც მუშებს მხოლოთ ერთი კვირით აქვთ დაქირავებული თავიანთი „კოტეჯები“,—ბინები და სახლის პატრონებიც სარგებლობენ ამ მდგომარეობით და როცა კი მოისურვებენ ყოველ კვირაში შეუძლიათ მუშებს ბინის ქირის მომატება მოსთხოვონ, წინააღმდეგ შემთხვევაში „კოტეჯიდან“ აქევებენ.

ამასთან უნდა აღვნიშნოთ ის გარემოებაც, რომ ინგლისის მუშები გაზეთებს თვალყურს ადევნებენ და ეკონომიურ მოვლენებს კარგათ არკვევენ. ამიტომ მუშებმა კარგათ იციან, რომ ნახშირის, პურის და ხორცის ფასების აწევა ბუნებრივი პირობებით როდია გამოწვეული; ისინი ხედავენ, რომ მაღაროებში წარმოება გაჩაღებულია, სავაჭრო გემები ინგლისში ყოველ მხრიდან განუწყვეტლივ მოდიან: გერმანიის ბლოკადამ—ინგლისის ნაოსნობა ვერ შეაფერხა, ამიტომ ინგლისში სანოვაგე-სურსათის ნაკლებობა არ ეტყობა. მუშებისთვის აშკარა ხდება ის ფაქტი, რომ „ცხოვრების გაძვირებას“ ძალიან უწყობენ ხელს უშველებელი სპეკულიაციები: მადნის პატრონები, ფერმერები და სხვები თავის საქონელს აჩერებენ, სხვებისასაც თვითონვე ყიდულობენ და ამნაირათ ელიან „ფასების აწევას“.

მუშებმა იციან, რომ ინგლისის ქარხნები და ფაბრიკები, რომლებიც „მოკავშირეებისთვის“ დიდძალ საქონელს ამზადებენ დღეს აურაცხელ მოგებას ღებულობენ.

იციან მუშებმა ყველა ეს და, ცხადია, მათ მოთმინება უწყდებათ, როცა მათი სამართლიანი მოთხოვნა, რომ სამუშაო ქირა ზემოხსენებულ მოვლენების მიხედვით იქმნას აწეული, ხაზეინებისაგან დაუკმაყოფილებელი რჩება. მუშები მხოლოდ „ძველი ბიუჯეტის აღდგენას მოითხოვდენ და მეტს არაფერს!“

ლივერპულში და კლაიდაში, მაგალითად, მუშები ითხოვდენ მოემატებიათ მათთვის ქირა იმ პროპორციით რა პროპორციითაც „საარსებო საგნების“ ფასები იზრდება.

მეტათ საყურადღებოა ამ შემთხვევაშიაც ერთი გარემოება. სახელდობრ ის, თუ როგორ უყურებს მუშათა გაფიცვებს ინგლისში დღეს იქაური რადიკალური პრესა.

როცა კლაიდის მუშებმა 2 პენსის მომატება მოთხოვეს ხაზეინებს საათში და ხაზეინებმა კი მხოლოდ ¾ პენსის მომატება შეაძლიეს, მაშინ გაზეთ „ტაიმსი“ მუშების წინააღმდეგ იძულებითი ზომების მიღებას ქადაგებდა; შემდეგში კი ჩაფიქრდა და ახლა სულ სხვა კილოზე დაიწყო წერა.

უკანასკნელ დროს ხსენებულმა გაზეთმა ამ საკითხის შესახებ მეთაური წერილიც მოათავსა და ისეთი ფრაზები დახარჯა, რაც მისთვის წინათ წარმოუდგენელი იყო. აი სხვათაშორის რას სწერდა ის: „მუშები მართალი არიან: ფასები მართლაც მეტათ გაიზარდა, ხოლო ფულს სასყიდელი ძალა მოაკლდა. დაე, სასამართლომ გამოარკვიოს, თუ რამდენათ გაიზარდა დღეს მწარმოებელთა მოგება და თუ მართლა აღმოჩნდა, რომ მათი მოგება იმდენათ დიდია, როგორც ამას მუშები ირწმუნებიან, მაშინ საზოგადოებამ იცის, თუ რა ზომები მიიღოს და რითი მოახდინოს ძალდატანება მწარმოებელზე, რომ მუშებს დაუთმონ.

რაც შეეხება „ცხოვრების გაძვირებას“, ამის შესახებ რადიკალური პრესა მომხრეა, რომ ამ საქმეში სახელმწიფო ჩაერიოს და აღებ-მიცემობა-ვაჭრობაზე სასტიკი ზედამხედველობა და კანტროლი დააწესოს“-ო.

აქედან ცხადია, რომ ინგლისის მუშათა დღევანდელი მოძრაობა-გაფიცვა გამოიწვია „ცხოვრების უკიდურესათ გაძვირებამ“, რომლის წინააღმდეგ სახელმწიფოს თავისი მთავრობის მხრით ზედამხედველობისა და, კანტროლის დაწესების მეტი ვერა მოუგონებია რა! მოვლენის მიზეზი აშკარა არის, ხოლო ზომა, რომლის საშუალებით ის თავიდან აშორებულ უნდა იქნას, მეტათ სუსტი და საეჭვო ღირსებისაა. უნდა ვიფიქროთ, რომ ისეთ კლასიკურ-ლიბერალურ სახელმწიფოშიაც კი, როგორიც არის ინგლისი, „ცხოვრების გაძვირების“ წინააღმდეგ რადიკალურ ზომებს ვეღარ პოულობენ და მაშასადამე მუშათა უკვე დაწყებულ მოძრაობასაც ვეღარ შეაჩერებენ...

**დ—ელი.**

# „ჩალის ფქვილი“.

ყველამ უწყის, თუ რა მდგომარეობაშია ჩავარდნილი დღეს გერმანია პურის ბაზრის დაკეტვის გამო; ვიცით აგრეთვე, რომ გერმანიამ კარგა ხანია, რაც პურის მონოპოლია გამოაცხადა; მარა ამით საქმეს საცსებით ვერ შველის, რადგან ახლა კართოფილი, რომელიც პურის ფქვილს უნდა გაურიონ, მეტათ გაძვირდა. გერმანიის მემამულეები იძულებული გახდენ თავისი სავსე ბეღლები სახელმწიფოსთვის დაეთმოთ, რა თქმა უნდა, კარგ ფასათ, მარა დღეს, როცა ჯერი კარტოფილის ასეთსავე დათმობაზე მიდგა, განზე გადგენ და როგორდაც ეძნელებათ ეს, რადგან ერთი მხრით კარტოფილზე ფასების აწევა მათ დიდ შემოსავალს აძლევს, ხოლო მეორე მხრით, კარტოფილი მათ ღორების გამოსაკვებათ სჭირდებათ.

ქვეყნის დღევანდელი მდგომარეობა კი ისეთია, რომ ან ღორები უნდა დაიკლას და ამ ნაირათ კარტოფილის მათზე ხარჯვა მოისპოს, რომ ამ გზით კარტოფილის ფასმა დაიწიოს და ბაზარზე საკმაოთ დარჩეს იგი, ან და კარტოფილის მონოპოლია გამოცხადდეს, სახაზინოთ ჩაითვალოს, რასაკვირველია, ისიც კარგ ფასებში და ამნაირათ ღორებს საკვები უნდა მოესპოს. აგრარიებს კი არც პირველი გამოსავალი სურთ და არც მეორე.

აი ამ დროს მათდა სასიხარულოთ გამოჩნდა მეცნიერი, დოქტორი განს ფრიდენტალი, რომელიც სახელმწიფოს ახალ საშუალებაზე უთითებს. ეს საშუალება მას ამ ოთხი წლის წინათ აღმოუჩენია, მაგრამ რადგან ამისთვის მაშინ შესაფერი პირობები არ იყო, ამიტომ ის უყურადღებოთ დაუტოვებიათ. ახლა კი, როცა საქმე სახელმწიფოს და ხალხის შიმშილობისაგან დახსნაზე მიდგა, ეს ახალი საშუალება „ცის მანანათ“ მოეჩვენა გერმანიის მთავრობას და მზათაა, რომ საცსებით გამოიყენოს იგი!

ხსენებული დოქტორის აღმოჩენით შეიძლება კაცმა ჩვეულებრივი ჩალა-ფქვილათ აქციოს და ამნაირათ იგი ადვილ მოსანელებლათ გახადოს, როგორც პირუტყვისთვის, ისე კაცისთვისაც. ერთი სიტყვით ფრიდენტალის აზრით შეიძლება კაცმა საკვებათ იხმაროს „ჩალის ფქვილი“.

აი ამ „ჩალის ფქვილით“ უნდათ ახლა აგრარიებს თავის ღორებიც სიკვდილს გადაარჩინონ და თავისი კარტოფილიც რათქმა უნდა ჩვეულებრივათ კარგ ფასებში სახელმწიფოს დაუთმონ და ამნაირათ კრიტიკულ მდგომარეობიდან მეცნიერების საშუალებით გასავალი მონახონ: თავისი ინტერესებიც დაიკმაყოფილონ და სახელმწიფო იხსნან.

და ეს მით უფრო, რომ საქმე მეტათ სერიოზულია და საჩქარო. ხალხი კარტოფილს მოითხოვს, მაშინ როდესაც ელცბახერის გამოანგარიშებით აგრარების ღორები დღეში 4 მილიონამდე კარტოფილს ნთქავენ!

რადგან ეს ღორები აგრარიებს მეტათ დიდ შემოსავალს აძლევს ამიტომ მთავრობამ თითქმის ყველა ქალაქის მცხოვრებთა მოთხოვნის მიუხედავათ დღემდე ვერ გადაწყვიტა, რომ სოფლის მემამულეებს კარტოფილი ჩამოართვას და სახაზინოთ ჩარიცხოს, რომ ხალხს მიხი შეძენის სა-

# გეთსიმანიის ბაღში.

(ესკიზი).

ღამე იყო.

დადუმებული იერუსალიმი სევდიანად შეჰყურებდა შავ ბურუსში გახვეულ ზეთი-ხილის მთას და მის კალთაზე მიძინებულს, თალხით მოსილს, გეთსიმანიის ბაღს სდარაჯობდა.

გულჩათხრობილი აღმოსავლეთი რაღაც საიდუმლოებას მოეცვა და ნაღვლიანი სახით გლოვის ქსელში გახვეულ ბუნებას რაღაცას ემუდარებოდა.

აყვავებული მდელო ცრემლათ დნებოდა და აქვითინებულს მდინარე კედრონს თავის მწუხარებას უამბობდა.

ფინიკებს მწვანე გვირგვინით მოსილი თავები მოწიწებით ძირს დაეხარათ და თითო ყვავილებიდან ცრემლებს აფრქვევდენ.

გარშემო ბუნების გულჩათუთქული ჩუმი ქვითინი ისმოდა. კვნესოდა სუმბული, ილუშებოდა შროშანა, აღარ ირხეოდენ ხეები და მთელი ბუნება კვნესოდა, მწუხრის ზეწარით იმოსებოდა და თავის გულის ტკივილს ქრისტეს სულის კვეთებას უერთებდა.

ქრისტე კი განშორებოდა დაძინებულ მოწაფეებს და შუაგულ ბაღში მხურვალეთ ლოცვილობდა... მუხლები მოედრიკნა, ხელები მაღლა აეპყრო, სახე მწუხარებით ავსებოდა და მდუღარე ცრემლებით ზეცას ხსნას შესთხოვდა.

მაგრამ ზეცა სდუმდა და ქრისტეც საშინლათ იტანჯებოდა. მისი ეკლით ნაჩხვლეტი არსება გრძნობდა სიკვდილის მოახლოვებას, მან იცოდა თუ როგორი გულშემზარავი წამება და სიკვდილი მოელოდა, იცოდა თუ როგორ შეუბრალებლათ აწამებდენ, ჯვარზე გააკრავდენ, ნათელ შუბლს ეკლის გვირგვინით შეუმკობდენ და მგრძნობიარე გულს ნაღველით და ძმრით ჩაუშხამავდენ. იცოდა ეს ქრისტემ და საშინელს სულის ტკივილებს განიცდიდა, გული უწყალდებოდა.

ზეცა კი ისევ სდუმდა... არსაიდან გამამხნევებელი ხმა არ ისმოდა, მხოლოდ შორს, საიდაც კაიაფას სახლის გარშემო ბრბოს საზარელი გუგუნი გაისმოდა.

შევიპყროთ... ვაწამოთ... მოვკლათ...

ვეღარ აიტანა ქრისტემ მარტოობა. გაიღვიძა პეტრე და იოანე და ათრთოლებულის ხმით უთხრა მათ:

— იფხიზლეთ.. რამეთუ მოახლოვებულ არს ჟამი იგი!..

მაგრამ მოწაფეებს ძილი ერევათ და ქრისტე ისევ მარტოდ რჩება, ტანჯვა უფრო უმწვავდება და შუბლზე სისხლის ოფლი ასკდება.

აი გამოჩდა ლამპარის შუქიც...

ჩუ, ფეხის ხმაც ისმის, ხმაურობა და გამოურკვეველი ყრუ კიჟინა მოისმის.

რა ამბავია? ვინ არღვევს ამ ღამეში გეთსიმანიის მყუდროებას?

ეს იუდა ისკარიოტელი გახლავთ, მასწავლებლის ოცდაათ ვერცხლათ გამყიდველი, ეხლა ის მოუძღვის მახვილებითა და წათებით შეიარაღებულს ბრბოს თავის მასწავლებლის შესაპყრობათ.

— აღსდეგით, წარვედით ამიერ; აჰა ესერა მოაწია მიმცემელი ჩემი—ეუბნება ქრისტე მოციქულებს.

მაგრამ მათ უკვე გარს შემოერტყა მღვდელმთავართა და მოხუცთა ბრმა იარაღათ ქცეული ბრბო და შეიპყრა ქრისტე, ვით ავაზაკი.

პეტრემ იძრო მახვილი და ერთს დარაჯთაგანს მარჯვენა ყური ჩამოაკვეთა.

— რას ჩადიხარ პეტრე, მიაძახა ქრისტემ—ჩააგე მახვილი თავის ალაგას; ვინც აიღებს მახვილს, მახვილითვე წარსწყდება.

— აჰა თქვენი ვარ, შემიპყარით, მიუბრუნდა ქრისტე ბრბოს წინამძღოლთ და თავის სურვილით დანებდა.

შეჰკოჰეს ქრისტე და კაიაფასთან წაიყვანეს. იესოს იმ ღამესვე სიკვდილით დასჯა გადაუწყვიტეს.

იუდა კი თავჩაღუნული სდგას და სდუმს. მას სინდისი ამხილებს, სტანჯავს თავის უმანკო მასწავლებლის გაცემისათვის.

— დამნაშავე ვარ, შევცოდე... გავყიდე უდანაშაულო ადამიანი, გულდაკოდილი მოსთქვამს იუდა, მაგრამ მას არავინ ანუგეშებს.

— ჩვენი რა საქმეა, შენ შეცოდე, შენვე პასუხი აგე! ესმის აქეთ-იქიდან და....

შეშფოთებული იუდა ისკარიოტელი მიედო მთა ველად, ბუნების წიაღში ეძებდა სულის სიმშვიდეს.

ბუნებამაც არ მიიღო იგი.

ძველი ვერხვის ხეც კი, რომლის ტოტზედაც იუდამ თოკი ჩამოაბა თავის ჩამოსახრჩობათ, შიშმა აიტანა, შეიძრა... შეკრთა, იწყო რხევა... ფოთლებში მისმა შექნეს ჩურჩული და ზიზღით აცახცახდენ...

მაგრამ იუდამ ყური აღარ ათხოვა ვერხვის წრიალს და სინიდისის მხილებით გატაცებულმა თავი ჩამოიხრჩო: ვეღარ შესძლო ეცქირა უდანაშაულო, ქვეყნისათვის თავდადებულ ქრისტეს წამებისთვის...

—

ნეტავ ეხლა რაღას გრძნობენ ამ დროის იუდა ისკარიოტელები?

ნეტავ ახლა მაინც გაიღვიძებდეს მათში მიძინებული სინდისი, პირადი ბედნიერებისთვის თავის მოძმეს იუდასავით არ გაჰყიდდენ და ძმას ძმის მტრათ არ აქცევდენ.

ნეტავ პეტრესავით ქრისტეს სიტყვებს შეასრულებდეს დღევანდელი ქრისტეს მორწმუნე კაცობრიობა, მიაქცევდეს მახვილს ადგილსავე თვისსა“, ძმის სისხლის მორევში ძმას არ ახჩობდეს და გავერანებულ მინდორზე მებრძოლთა ლამაზ თვალებს შავ ყვავ-ყორნებს არ აკორტნიებდეს!...

**გიორგი ნიორაძე.**

შუალება მისცეს. პირიქით აგრარიების გავლენით მან 15 თებერვალიდან კარტოფილზე უდიდესი ფასი დააწესა და მემამულეებისაგან ნაყიდ კარტოფილის ფასი 45 პროცენტით გაადიდა, ხოლო წვრილათ გამყიდველებს კი 25 თებერვლიდან ფასის აწევა აღუკრძალა.

პირველ მარტიდან თვითეულ კაცზე დანიშნული კერძი ფქვილის რაოდენობაც შემცირებულ უნდა აქნას.

დღემდი თვითეულ სულზე დღეში თუ იყიდებოდა 228 გრამი ფქვილი, ახლა უნდა მისცენ მხოლოთ 200 გრამმი—($4^1/_2$ გირვანქა.). ჯარის კაცებსაც პურის კერძი იმდენივე გაუხადეს, როგორც შინ მყოფ მოქალაქეებს აქვთ დანიშნული. არაყის გამოხდა კარტოფილისგან აღკრძალეს, სამაგიეროთ ნება დართეს შაქრისგან გამოხდა. ამახით ყველა ეს ზომები ხეირს აძლევს აგრარიებს, რომლებიც კარტოფილზე ფასების აწევით და ღორებით ცდილობენ იმ ზარალის ანაზღაურებას, რაც მათ პურის მონოპოლიის გამოცხადებისგან მოუვიდათ.

ეს ,,პურის მონოპოლიის პოლიტიკაც" კი, რომელიც ერთი შეხედვით თითქო მათ საზარალოთ იყოს გამოგონებული, ნამდვილათ საზოგადოების ,,შეძლებულ წრეების" ინტერესებს ნაკლებათ ეხება. პურის განაწილების წესები, რომ მდიდრებს არ ეხება, ეს აშკარათ დაამტკიცა ქ. მანგეიმმა, რომელიც გერმანიის ერთი მთავარი სამრეწველო ცენტრთაგანია.

პირველ მარტიდან ამ ქალაქში მთავრობამ დააწესა, რომ თვითეულ კაცზე გაყიდონ მხოლოთ 1,400 გრამმი ფქვილი კვირაში. ქალაქმა გამოიანგარიშა, თუ რამდენი ფქვილი იხარჯებოდა მშვიდობიანობის დროს თვითეულ კაცზე. ამ მიზნით მან მცხოვრებნი 5 კატეგორიათ დაყო, აღმოჩნდა, რომ კვირაში თვითეულ კაცზე იხარჯებოდა: უმდიდრეს კლასის წარმომადგენელზე—1,324 გრამ. მეოთხე კატეგორიის მცხოვრებზე—1,717 გრამმი, მესამეზე—1,824 გრამ. მეორისაზე—1,938 გრამში, ხოლო ყველაზე ღარიბეს ოჯახის წევრზე იხარჯებოდა—2,151 გრამი.

ეს ყველგან ასედაც არის: ღარიბი მცხოვრების მთავარი საზრდო ყოველთვის მხოლოდ უბრალო პურია. ამნაირათ კანონით განსაზღვრული კერძი—1,400 გრამმი ფქვილი კვირაში სულაც არ ამცირებს მდიდრების კერძს 1,324 გრამ. პირიქით ადიდებს კიდეც 76 გრამით, მაშინ როდესაც ღარიბისთვის ის ერთი მესამედით მაინც ამცირებს. თუ ეს პურის შესახებ ასეა, მით უფრო ითქმის ეს კარტოფილის შესახებაც, რომელიც ღარიბების უმთავრესი საზრდოა. ამიტომაც არის, რომ ყველა ზემოთ დასახელებული ზომები ხალხს აშფოთებს და ცხადათ უყენებს მათ კითხვას: „ღორები გერმანიისთვის არის საჭირო, თუ გერმანია ღორებისათვის—?" „ერთი მუჭა უმცირესობა-კარტოფილის ზვინების პატრონები თუ მთელი გერმანიის ხალხი?" აი ასეთსა და ამაზე უფრო მწვავე კითხვებს აყენებს დღეს არა მარტო სოციალ-დემოკრატიული გაზეთი, არამედ მთელი დემოკრატიული პრესაც. მაგალითად „ბერლინერ ტაგებლატი"ს პირველი მარტის ნუმერში წერდა:, თუ ყოველი მზარეული ქალისაგან მოითხოვენ, რომ მან დღევანდელ სერიოზულ მომენტს ანგარიში გაუწიოს, მით უფრო ესევე უნდა მოეთხოვებოდეს თვით მთავრობას".

თვით „ლოკალ ანცაიგერმაც" განაცხადა: „ფართე წრეებში—დიდი უკმაყოფილება ტრიალებს, თითქმის აღელვებაა, რომელსაც შეუძლია ძალიან ცუდი ნაყოფი—შედეგი გამოიღოს". ერთი გაზეთი კიდევ სასოფლო მეურნეობის მინისტრის სიტყვების გამო მრისხანე კილოზე ამბობდა: „ის (გერმანიის მინისტრი) საფრანგეთის 1870 წლის მინისტრს, „მ[illegible]ვიდი გულის" პატრონს ოლივიეს გვაგონებს. დაუყონებლივ ახლავე ყოველგვარი მიკიბ-მოკიბვის გარეშე დეპეშებით ეცნობოს ვისაც ჯერ არს, რომ კარტოფილის კონფისკაცია მოახდინონ. ხალხს უნდა მიეცეს საკმაო კარტოფილი, თუნდაც ეს სახელმწიფო ხარჯით ყველა ღორების დახოცვას იწვევდეს".

სწორეთ ასეთ აფორიაქებულ დროს მოუხდა კარლ ლიბკნეხტს ლანდტაგში სიტყვის წარმოთქმა ომის შესახებ. ამიტომაც მისი სიტყვა მთელ ევროპას ელვის სისწრაფით მოედვა და საყოველთაო აღშფოთება—მღელვარება გამოიწვია. კარლ ლიბკნეხტი თავის სიტყვაში ომის სწორეთ ამ მხარეზე უთითებდა ხალხს და ამტკიცებდა, რომ იგი შეძლებულმა კლასებმა თავის გასასუქებლათ გამოიყენეს, რომ მდიდრები ომით სარგებლობენ და ყოველნაირ „სპეკულიაციას" ეწევიანო. ამიტომ ის მოუწოდებდა პროლეტარიატს, რომ მან ხმა აღიმაღლოს თვით გერმანიაში და თავისი ინტერესები მტკიცეთ დაიცვას.

ამნაირათ, ახლა აგრარიები და მთავრობა იძულებული ხდებიან დათმობის გზას დაადგენ და ხალხს კარტოფილიც და ღორებიც ისევე დაუთმონ, როგორც ამასწინათ პური დაუთმეს!

მთავრობა ღორების დათმობის გზაზე უკვე შედგა და ვაი მას, თუ ხალხს, სხვასაც თავის დროზე არ დაუთმობს! მაშინ თვით ხალხი აღიმაღლებს ხმას და გერმანიის იმპერიალიზმის დღეებიც დათვლილი იქნება!

## უსამართლოდ შეურაცყოფილ ქართველ მასწავლებელს.

გუშინ ჩვენს გაზეთში ყრუდ იყო აღნიშნული ერთის ფრიად პატივცემულისა და ჰუმანიურ მასწავლებლის მხეცურად შეურაცყოფის ამბავი.

ქუთაისის ქართველი საზოგადოება კარგად იცნობს ამ პატიოსან მასწავლებელსა და ლექტორს და, იმედია, ღირსეულ მსჯავრსაც დასდებს მის შეურაცხმყოფელის მოქმედებას, მაგრამ ვიდრე ეს მოხდებოდეს, ჩვენ გვინდა ჩვენი პირადი პატივისცემა და თანაგრძნობა გამოვუცხადოთ ჩვენს ამხანაგს პროფესიით და თანამოკალმეს მწერლობაში—უსამართლოდ შეურაცყოფილ იმ მასწავლებელს.

გაზაფხულის პირზე, მარტის ცვალებადიან დღეს,—აი, ხან რომ ჟინჟღლავს და ხან მზე სუსტად გამოანათებს ხოლმე,—გინახავთ ღობის ძირას მიმალული, პაწია, უმანკო ბავშის თვალებივით მოცინარი სოსანი ია?

თითქოს პატარაა ეს ყვავილი, სუსტი, და ნაზი, მაგრამ ვინ იტყვის, რომ დიდი იმედების აღმძვრელი არ იყოს იგი. იგი წინამორბედია კეკლუცი გაზაფხულისა, იგი სასოებაა დაჩაგრულისა და ნუგეშია ყინვისაგან დამზრალისა!

უმზერთ ამ ყვავილს და გულში ჰფიქრობთ: გაივლის ცუდი ტაროსი, მზე სავსებით ამოაშუქებს, გათბება გული ბუნებისა, გალხვება ზედაპირი ქვეყნისა და ადამიანური ცხოვრება მიენიჭებაო.

სწორეთ ასეთივე ფიქრი და აზრი ებადება ჩვენი ცხოვრების მეთვალყურეს, როდესაც უკვირდება იგი. დ. ნ. უ—ძის მოქმედებას და მოღვაწეობას.

დ. ნ. უ—ძე ქართველთა გაზაფხულის წინამორბედი ყვავილია.

ქართველ ახალგაზდა მასწავლებელთა და განსწავლულთა შორის მას თვალსაჩინო ადგილი უჭირავს და ვინც ამისთანა კაცს შეურაცყოფს იგი ღირსია ზიზღისა და გმობისა, ხოლო უდანაშაულო მსხვერპლი ასეთის ვერაგობისა, ღირსია უაღრესის პატივისცემისა.

ვთხოვთ ბ-ნ დ. უ—ძეს მიიღოს ჩვენი ულრმესი თანაგრძნობა და მარადის ახსოვდეს, რომ თვით იესოსაც კი სცემეს, მაგრამ ბოლოს მისმა მცემლებმა და გამცემლებმა თავი ჩამოიხრჩვეს, ხოლო იესოს მოძღვრება კი მთელ ქვეყანას მოეფინა.

ბინძური ხელი და შეურაცყოფა უღირსი შვილისა ვერ წაბილწავენ ამაღლებულისა და წმინდა, სამშობლოს სიყვარულით გატაცებულ სულის მატარებელ სხეულს!

ვუსურვებთ ბ-ნ დ. უ—ძეს ჯანმთელობას და ვსთხოვთ უსიამოვნო შემთხვევა იგი დავიწყებას მისცეს „ვითა სიზმარი ღამისა".

ქუთაისის ქართული გიმნაზიის მასწავლებელი, რედაქტორი გაზეთ „სამშობლო"-ისა ი. თ. ეკალაძე—ცინცაძე და რედაქციის თანამშრომლები.

## ეს რა არის?

ახალგაზრდობა, მოზარდი თაობა! აი ის ქვაკუთხედი, რომელზეაც ოჯახი, საზოგადოება, ერი ამყარებს თავის მომავლის იმედს. მოზარდი თაობა, ეს არის, როგორც მათ ეძახიან ხოლმე, საზოგადოების მომავალი „მარილი".

ახალგაზდობა ჩირაღდანივით წინ უნდა უძღოდეს მაზედ მცირე წლოვანს და გზას უჩვენებდეს განათლებისკენ, ხოლო მომავალს ჩაედვას მტკიცე საძირკვლად. იგი უნდა იყოს კეთილი მაგალითის მაჩვენებელი თავისი ყოფაქცევით და ნათელი აზრით. დიახ, ასე მყავს წარმოდგენილი მოზარდი თაობა. მაგრამ, საუბედუროთ, ჩვენს ახალგაზდობაში მეტად ცუდ ნიშნებსა ვხედავ. მაპატიოს ახალგაზდათა იმ ჯგუფმა, რომელიც გულის სიღრმეში ჰგმობს მათ გარეწარ ამხანაგთა საქციელს, მაგრამ ნათქვამია,—ჯერ მითხარ ვისი მეგობარი ხარ და მერე მე გეტყვი ვინა ხარ შენ. ახალგაზდობა რომელიც თავის მუშტებზე იცქირება და კრივით სურს ცხოვრებაში გზა გაიკაფოს,—ვერავითარ ნაყოფს საზოგადოებას ვერ მოუტანს. იგი დასაგმობია ამხანაგებისაგან, საზოგადოებისაგან. იგი თავისი ცუდის მაგალითებით გამრყვნელია მთელი დაწესებულების.

რას ნიშნავს 14 ამთვეს ქუთაისში მომხდარი შემაძრუწუნებელი ფაქტი... მასწავლებლის შეურაცყოფისა?!.

რამდენადაც ვიცნობთ პატივცემულ მასწავლებელს იგი მიუდგომელი, მეტად ჰუმანიური და მეცნიერების თაყვანისმცემელია. არც ერთი მოწაფე მისი უმადური არა ყოფილა. ყველასათვის საყვარელი და ხელით სატარებელია ადამიანია.

რა არის ესა?!

მოწაფეს, თუ მაგარი მკლავი აქვს, შეუძლია სრულიად არ ისწავლოს. მასწავლებელს ნება არა აქვს ცუდი ნიშანი იმის შიშით, რომ სადმე ჩაუსაფრდება და შეურაცყოფას მიაყენებს.

მოწაფეები (უმრავლესობა) მთელი წლის განმავლობაში არაფერს აკეთებენ. წლის ბოლოს რჩებიან იმავე კლასში და თანაც ეშინიათ მათი გვარები გაზეთში არ გამოაცხადონ, როგორც დარჩენილებისა. რცხვენიათ!

სიზარმაცე, მცონარება, და ათასგვარი, წრეგადასული გართობა სირცხვილი არა ყოფილა! ჰოდა „ბარიშნების" წინაშე, რომ არ შერცხვენ, დოქტორს მოსდის უსახელო წერილი მთელი ჯგუფის სახელით,—არ გაბედო და ჩვენი გვარი არ გამოაცხადო, თორემ, „არ მივხედავთ თქვენს ჭაღარა წვერს და კბილებს ჩაგამტვრევთო".

არავითარი სამართლიანობა, არავითარი მორიდება და სირცხვილი! არავითარი დაფასება შრომისა და ჭირნახულობისა?!

რა არის ესა? რას ნიშნავს? ნუთუ მკლავმძლეების ხანა გვიბრუნდება? ნუთუ ფიზიკურის საშუალებით უნდა გავითქვათ სახელი და არა კულტურულის მუშაობით? ნუთუ საზოგადოების შეგნებულმა ნაწილმა არ უნდა დაგმოს ასეთი საქციელი?! ნუთუ თავხედ მოწაფეს ასე უნდა ჩაუაროს ამ საქციელმა?! არა!

ჩვენ დარწმუნებული ვართ, რომ მისი შეგნებული ამხანაგები, და მთლათ ქუთაისის მოსწავლე ახალგაზდობა დაჰგმობს ამ შემაძრწუნებელ ფაქტს და მით ჩამოირეცხავს სამარცხვინო ლაქას.

ვინიცა.

## ახალი ამბავი.

**ჩვენი გაზეთის შემდეგი მორიგი, ნუმერი სურათებიანი დამატებით გამოვა კვირას, 22 მარტს აღდგომა დღეს.**

✦ სამშაბათს, 17 თებერვალს, ყოვლად-სამღვდელო იმერეთის ეპისკოპოსს წარუდგა დეპუტატი ბ. ზახარიევი და სთხოვა ნება დაერთო 19—20 და 21 მარტს ქართულ გიმნაზიაში გამოცდები მოეხდინათ, მაგრამ ეპისკოპოსმა გიორგიმ ნება არ დართო.

✦ სამშაბათს, 31 მარტს, ახალ გაზდა მგოსანი ნ. ჩხიკვაძე ქალაქის თეატრში მართავს ლიტერატურულ საღამოს. ახალგაზდა ლექტორი შ. სანებლიძე წაიკითხავს ლექციას: ,,ახალი მიმართულება ქართულ პოეზიაში". წარმოდგენილი იქნება ერთი ვოდევილი. ლიტერატურულ განყოფილებაში მონაწილეობას მიიღებენ: ვ. რუხაძე, ს. აბაშელი, გ. ქუჩიშვილი, გ. ტაბიძე, დ. თომაშვილი, და ნ ჩხიკვაძე, იმღერებს მომღერალი ვარ. ლორთქიფანიძე. ვასო ურუშაძე. და ნემო იმღერებენ კუპლეტებს ვაი-უის ხმაზე.

✦ ამ დღეებში, ქუთაისში სევერიანე ბახტაძის რედაქტორობით გამოვა ყოველკვირეული ჟურნალი ,,ახალი კვალი".

✦ ქუთაისის ქართულ გიმნაზიის მერვე კლასიანებს პირველი რუსული წერით გამოცდა გუშინ 18 მარტს, ქონდათ. შემდეგი გამოცდა დანიშნულია 25 მარტს.

მეექვსე კლასის მოწაფეებს გამოცდები 26 მარტიდან დაეწყებათ.

✦ ქუთ. სახაზინო პალატა სთხოვს ქალაქის გამგეობას გაუგზავნოს მას სია იმ სლავიანებისა, ფრანგებისა და იტალიელების, რომელნიც ავსტრია-გერმანიის ქვეშევრდომებათ ითვლებიან და ნება აქვთ ქუთაისში ცხოვრებისა. ამასთანავე აცნობს პალატას ქრისტიან ოსმალების ქვეშევრდომების სიაც.

სიაში აღნიშნული უნდა იქნეს მათი ეროვნება, სარწმუნოება, ხელობა, წლოვანება და სხვა.

✦ დ. ქიათურის უმაღლეს პირველდაწყებით ქალთა სასწავლებელში სწავლა უკვე დამთავრდა. მეოთხე განყოფილებიდან პირველ კლასში გადასასვლელათ საკონკურსო გამოცდები 15 აპრილისათვის დასრულდება.

✦ საოლქო სასამართლომ ამ დღესასწაულების გამო საქმეების გარჩევა ამ თვის ბოლომდის შეაჩერა.

✦ ჟურნალ-გაზეთების კანტორა „იმერეთის" გამგე გვთხოვს გამოვაცხადოთ, რომ მას ამ სამი დღის წინათ ეტლის გადასახურავში დარჩენია სერთუკი, რაც მეეტლეს არ დაუბრუნებია ალბათ მისამართის უცოდინარობის გამო. დამკარგავმა მეეტლის არც ვინაობა იცის და არც ნუმერი, ამიტომ სთხოვს მეეტლეს დაკარგული ნივთი მიუტანოს კანტორაში. საჩუქარს მიიღებს.

### თ ე ა ტ რ ი.

დაიწყო მზადება შექსპირის პიესა „ჰამლეტი"-ს, რეჟისორს სურს ახალი რამ შეიტანოს პიესის დადგმაში.

—

„დაძირულ ზარისათვის", იკერება რამდენიმე ტანისამოსი და იხატება დეკორაციების ნაწილი.

—

„ყაჩაღებში"—ფრანცის როლს შეასრულებს—ი. ზარდალიშვილი, კარლის როლს ამზადებს—ბ. ა. ყალაბეგიშვილი.

—

დაძირულ ზარში" უმთავრეს როლს—ჰენრიხისას შეასრულებს ბ. არადელიშვილი, ფერიასი—ქ-ნი მ. მდივანი.

—

სადღესასწაულო რეპერტუარის ბილეთები უკვე იყიდება თეატრის კასაში.

—

თეატრის კასა დაკეტილი იქნება დიდ შაბათს საღამოს და აღდგომის პირველ დღეს საღამოს.

## სოფლის გულშემატკივართა საყურადღებოთ.

როგორც მოგეხსენებათ, დღეს ყველას თვალი და გონება ბრძოლის ველისკენ არის მიპყრობილი; თითქმის ოჯახს ისე ვერ შეხვდებით, რომ გულ-ნაღვლიანი არ იყოს და ცხარე ცრემლით არ მოსთქვამდეს ომში წასულს ან დაღუპულს—ქმარს, შვილს—ძმას და სხვ. დღევანდელმა ომის ქარცეცხლმა, რომლის მგზავსიც ისტორიას არ ახსოვს, ქვეყნიერება შავი ზეწრით მოიცვა და დაფარა—თითქმის ცხოვრების ნორმალური მიმდინარეობაც ერთიანათ შესცვალა;

ყველაფრის ფასმა ერთი-ორად აიწია და რაც დღე გადის (ომის წყალობით) ყველა უსაჭიროესი საგანი მეტის-მეტათ გაძვირდა.

მიუხედავათ ასეთი მდგომარეობისა და ცხოვრების სიდუხჭირისა, ხალხი აღდგომის მეორე დღიდან ჩვეულებრივ შეუდგებიან კაი დღის გადახდის თავდარიგს და, როგორც ხალხთან ახლო მდგომთ, ჩვენს ზნეობრივს მოვალეობას შეადგენს—ურჩიოთ და შევაგონოთ მათ,—რომ კაი დღის უთავბოლო ხარჯებს, სულ თუ არა, წელს მაინც თავი გაანებონ. თუ ჩვენ შრომა' არ დავზოგავთ, საქმე ადვილათ მოგვარდება, მით უფრო, რომ ხალხში დღეს, ცოტათ თუ ბევრათ, შეგნება შევიდა, ხალხი არჩევს კარგს ცუდისგან, გაიგო რა არის მისთვის საზარალო ან—სასარგებლო, ვინ არის მისი მტერი ან მოყვარე, მხოლოდ ჭირდებათ წინამძღოლები, რომ ესა თუ ის საქმე ისე დააბოლოვოს და გააკეთოს, როგორც მას სურს. მაგრამ, ჩვენდა სამწუხაროთ, ასეთ ინიციატორებს სოფლის ხალხი მოკლებულია, დღეს-დღეობით სოფლის ხალხის ბედ-იღბალი სამღვდელოებისა და სოფლის მასწავლებლების ხელშია, მხოლოდ იგინი არიან დღეს მათი თანამგრძნობნი და ჭირისუფლები და, ვიმეორებ, თუ შრომას არ დაიშურებენ ბევრ რასმე გააკეთებენ.

სოფლათ ბევრი რამ კულტურული დაწესებულებების დაარსებაა საჭირო და, თუ ასეთებს სოფელ[illegible] ამაში ისევ ჩვენ გვიდევს [illegible] ხალხს, მიტომ, რომ [illegible] უნდა დავეხმაროთ ხალხს, ჩვენ უნდა შევაგნებინოთ მათ, ჩვენ უნდა მოვსპოთ ყოველივე დამაბრკოლებელი მიზეზები, რომელიც ხელს უშლის ხალხს რაიმე კულტურული წინმსვლელობისათვის და შემდეგ, თუ მათ ხალხმა გულგრილობა გამოიჩინა, მაშინ გვეთქმის მათზე საყვედური; დღეს კი რა ქნას საწყალმა გაძვალტყავებულმა ხალხმა გადასახადი იხადოს, სკოლის შენობები ხაგოს, კაი დღისა და ტირილ-ალაპების ხარჯები ასწოროს, თუ თავისი მშიერი ცოლშვილი გამოკვებოს?!

რა არის ხალხის მატერიალურათ დამცემი მიზეზები? ეს გახლავთ კაი დღეების და ტირილ-ალაპების უზომო და მოუფიქრებელი ხარჯები. აბა მოვსპოთ ეს მათი გამანადგურებელი ზედმეტი ხარჯები და მაშინ ვნახავთ თუ ხალხი ნივთიერათ არ გაღონიერდეს და სოფლები კულტურული მხრითაც არ აყვავდეს და მეურნეობამაც თვალის სისწრაფით წინ არ წაიწიოს.

მაშ, მოგიწოდებთ, მამებო და თანამოძმენო, რომ თვით აღდგომა დღეს, ნაწირვებს გამოუცხადოთ ყველამ ხალხს ეკლესიის ამბიონიდან, რათა მოსპონ და გადააგდონ მათ, მათი დამღუპველი კაი დღეების უგუნური ხარჯები. განაჩენების შედგენას იმ დღეს ვერ მოასწრებენ ვიცი, მაგრამ თითოეულმა მრევლმა თავისი რწმუნებულების პირით გამოაცხადოს გაზეთის ფურცლებზე, რომ ამა და ამ სოფელში, ეს კაი დღე გადავაგდეთ და ამიტომ პატივცემული სტუმრებიც მობრძანებით თავს ნუ შეიწუხებენ-თქო.

იმედია იმ დღეს სოფლის მასწავლებლებიც და ყველა შეგნებული პირი დაგვეხმარებიან და მით სისრულეში მოგვაყვანინებენ ჩვენს დასახულს მიზანს, რაზეც დიდი მადლობელი დავრჩებით.

მღ. გაბ. აბესაძე.

## წერილი ლეჩხუმიდან.

აბრეშუმის თესლით მოვაჭრეთა საყურადღებოთ.

მოგეხსენებათ, ბატონებო, რომ ლეჩხუმში ამ ხუთი ექვსი წლის წინათ ერთიორი სოფელი თუ მისდევდა მეაბრეშუმეობას, თორემ სხვა სოფლებში ჭიის ყოლა დიდ ცოდვათ ითვლებოდა. დიდ წვიმას, გვალვას, ქარსა და ჭექა-ქუხილს ყოველიფერს ჭიასა და მის მომვლელს აბრალებდენ. ზოგან იქამდის მიაწია მათმა ფანატიკოსობამ, რომ კარგათ წამოზდილი და გამოკვებული ჭია მდინარის აქაფებულ ტალღებს მისცეს, მაგრამ, მიუხედავათ ასეთი სასტიკი ცრუმორწმუნოებისა, საბედნიეროთ ჩვენდა, ამ უკანასკნელ ხანებში კარგათ გავრცელდა ჩვენში; ბევრმა ურწმუნო თომამ ირწმუნა, რომ აბრეშუმის ჭიას არა თუ მავნებლობა მოაქვს, სასარგებლოა მისი მოვლა-მოშენება. ახლა თითქმის ყველა ცდილობს, ვისაც კი ყიდვის საშუალება აქვს, შეიძინოს თესლი და რამდენიმე მანეთის საღირალი აბრეშუმი გაყიდოს უსაჭიროესი მოთხოვნილების დასაკმაყოფილებლათ. მეაბრეშუმობას აქაური ჰავაც ხელს უწყობს და პარკი ძალიან კარგი მოდის. გამოცდილებით ვიცი, რომ ქუთაისისა და ხონის ბაზარზე გატანილ პარკთა შორის ლეჩხუმელ პარკს უპირატესობას აძლევენ გამოცდილი ვაჭრები და პირველ ხარისხის ფასათ ყიდულობენ. ძლიერ ხელს უშლის ხალხში მეაბრეშუმობის გავრცელებას გლახა თესლის მიწოდება. თითქმის ორი წილი თესლისა წამხდარი მოდის, გლახა ბინაზე შენახვით ისე ჩამრჩვალა თავისივე ქერქში, რომ ვლარ გამოსულა მური. არა ერთი და ორი დედაკაცი მინახავს ატირებული: „ქუთაისიდან მამასისხლათ თესლი მოვიტანე და არ გამოდგაო", — მოსთქვამდა საწყალი. მიიქციეთ, ბატონებო, ყურადღება და ნუ შეაძულებთ ხალხს ამ ერთადერთ დარგს მეურნეობისას,

უნდა იცოდენ აბრეშუმის თესლით მოვაჭრეებმა, რომ აბრეშუმის თესლი უსულო საგნათ არ ითვლება, რომ სხვა გასასყიდ ნივთებთან ერთად მივაგდოთ სარდაფში; თესლზე დიდათ მოქმედობს ტემპერატურა, და ვისაც კი შესაფერი ბინა არა აქვს, რომ მოათავსოს და ხელი შეუწყოს ჰაერის მოქმედებას, ნურც იყიდის და ნურც გაყიდის.

სასურველია, აბრეშუმის თესლით ისეთი მოვაჭრენი გამრავლდებოდენ, რომელთაც მარტო სპეკულიაცია არ ქონდესთ მიზნათ, არამედ ხალხის სარგებლობასაც სიმპატიით უყურებდენ, სწორედ მაშინ აყვავდება მეაბრეშუმობა ჩვენში და სხვა ბრძა მოსაზრებაც გაქრება მდაბიო ხალხში. კეთილს იქმებენ ლეჩხუმელი

მასწავლებლები და ღვდლები, რომ თვით ითავებდენ თესლის გამოწერას ერთერთ საბრეშუმო ფირმიდან და მით მისცემდენ ხალხს საშუალებას სალი თესლის შეძენაში.

განსაკუთრებით ურჩევ ბ. გიორგი ქარვასანიძეს, რომელიც ლეჩხუმში დიდ როლს ასრულებს თესლის გაყიდვის საქმეში, ცოტა დაკვირებით მოიქცეს და ისედაც ყოვლის მხრით გაძვალტყავებულ ხალხს ცოტა ტყავი მაინც შეანარჩუნოს. ბ. ქარვასანიძეს შემოაქვს ლეჩხუმში ყოველ წელს რამდენიმე ათასეული მისხალი თესლი, რომელიც უვარგისია და საზარალო.

შეიძლება ბრალი მთლად ქარვასანიძეს არ ედვას, რადგან მან არ იცის თესლის ავკარგიანობის ამბავი, მაგრამ იმას კი უნდა მიხვდეს, რომ მისი შემოტანილი თესლი ყოველ წელს, მთლათ თუ არა, ნახევარი მაინც ზარალობს და მით ხალხისათვის მავნებლობა მოაქვს. ახლა ხშირათ მადა გაღვიძებული ვაჭრები თესლს თვითონ ინახვენ და მიაქვთ მეთესლესთან შესამოწმებლათ, შემდეგ ერთ წილ შემოწმებულ თესლში ორ წილს შეუმოწმებელს გაურევენ და ფირმის სახელით ყიდიან, რითაც ჯიბას ისქელებენ. რომ ბატონი ქარვასანიძე ამეებს ასცდეს, ვურჩევ ლეჩხუმში შემოსატანი თესლი უთუოდ კავკასიის საბრეშუმო სადგურისაგან შეიძინოს შემოწმებული და ნიშან დასმული.

ვარწმუნებ ქარვასანიძეს, თუ ასე მოიქცევა და ჩვეულებრივად ვიღაცებისაგან არ მოხიკავს წამხდარ თესლს, დღემდი რომ ყიდდა, ორ-სამ იმდენს გაყიდის და მისთვისაც სასარგებლო იქნება.

**მეთვალყურე ქალი.**

## სკოლა ჭალვერის ტყეში.

(დასასრული იხილე „სამშობლოს" 38-ე №.

როგორც პირადათ გვიამბო ბ. არჯევანიძემ, მის პირველს განზრახვას ფრიადის თანაგრძნობით შეხვედრია კავკასიის სასწავლო ოლქის მზრუნველი ბ. ნ. ფ. რუდოლფი... ამის მეოხებით ძლეულ იქნა ყველა ფორმალური დაბრკოლება, რომელიც ესოდენ ხშირია ყოველივე ახლად დაწყებულ საქმეში. იგივე ბ. მზრუნველი სკოლას თვისს ყურადღებას არ აკლებს... აი ფაქტიც. სასწავლო ოლქის 1914 წლ. მეთორმეტე ნომრის ცირკულიარში და ბეჭდილია ჭალვერის ტყიური სკოლის ანგარიში, რომლიდანაც შემდეგი სჩანს: 1914 წლის ზაფხულში ყოფილა 20 მოწაფე 6—12 წლამდის. აქიდან რუსია 4, ქართველი 10 და სომეხი—6. ამათგან 5 ემზადებოდა სხვადასხვა სასწავლებლებში შესასვლელად და სხვ. თფილისის ქალ. თვითმართველობა ინახავდა სკოლაში 5 მოწაფეს თავისი ხარჯით. სრულიად ჯანსაღი იყო 16, ხოლო სუსტძალღონიანი —4. საექიმო გამოკვლევას დაუმტკიცებია, რომ ბავშებს წონაში პირველი თვის განმავლობაშივე შესამჩნევათ მოუმატნიათ. ბავშები დგებოდენ დილით $6^1/_2$ ჟამზე, და იძინებდენ სალამოს ცხრაზე. მთელი დღის განმავლობაში ასრულებდენ ყველა იმ ვარჯიშობასა და საქმეს, რომლის შესახებაც ზემოდ გვქონდა საუბარი. შრომის სიყვარულის გასაძლიერებლად ბავშებს თვით აწმენდინებდენ თავისს ფეხსაცმელს, აშლევინებდენ სუფრას, არიგებინებდენ საჭმელს, აზიდვინებდენ წყალს, ამუშავებდენ ბოსტანში, ორჯერ კვირაში მოგზაურობდენ და გზადაზგა ჰკრეფდენ მცენარეთა ნიმუშებს. ბავშები ყოველდღე ბანაობდენ მდინარეში. ხორცეულ საჭმელს მეორე ხარისხოვანი ადგილი ჰქონდა დათმობილი. სკოლის მოწაფენი იკვებებოდენ ისე, როგორც ამას მოითხოვს თანამედროვე ბუნებითი მეთოდი მკურნალობისა... (ჰაიგი, ლამანი და სხვა)... მეტი ადგილი დათმობილი ჰქონდა არა ხორციელ საჭმელს: რძეს, კვერცხს, კარაქს, კარტოფილს, მწვანილს, ხილეულობასა და სხვა... ხორცი საჭმლის $^1/_{28}$ ნაწილს შეადგენდა. ამ გარემოებას ჩვენ განზრახ ხაზს ვუსვამთ... რომ შევიგნოთ, თუ რაოდენ დამარცხებული ვართ ბუნებრივი საზრდოობის სალ მოთხოვნილებისაგან. სპირტ-ნარევს სასმელებს სრულიად ადგილი არ აქვს ჭალვერის სკოლაში. ძალიან კარგიცაა ეს გარემოება: ალკოგოლი (სპირტი) და ხორცი—ეს ორი შხამია, რომელიც იმ თავითვე კაცობრიობას მოვლინებია გადასაშენებლად... ამას რომ თუთუნი მივუმატოთ, რასაც საწუხაროდ, დიდებისადმი მიბაძვით ესდენ ეტანება ჩვენი ახალგაზდობა, მივიღებთ დაწყევლილ სამებას, რომელიც ნელა-ნელა, მაგრამ თანდათანობით, საუკუნეთა განმავლობაში კაცობრიობას სამარეს უთხრის.

მზრუნველი ნ ფ. რუდოლფი ბრძანებს: „იმ პირთ, რომელნიც პედაგოგიურს ქვეყანას ეკუთვნიან, მიაღეს ჭალვერის სკოლის გაცნობით სასიამოვნო შთაბეჭდილება. არ შეიძლება არ მოვისურვოთ, რომ ბ. არჯევანიძეს მიბაძონ სხვებმაც კავკასიის სხვა კუთხეებშიაც და განსაკუთრებით იმ ადგილებში, რომელნიც კლიმატიურ სადგურებად არის ცნობილი.

ბავშების ჰაერზე მუდმივი ყოფნა, მათი კავშირი ცოცხალ და მკვდარს ბუნებასთან, მათი მონაწილეობა მათთვის ხელმისაწვდომ შრომაში, ნორმალური სმა-ჭამა და სხეულის ჯეროვანი მოვლა—აი ის მოქმედი ძალები, რომელთა მეოხებითაც შეიძლება ბავშების გაჯანსაღება და ჩვენთვის სხეულითა და სულით სალი მოზარდი თაობის მოცემა!!"

ვიდრე ჩვენი კუთხის სხვა ადგილებში ჭალვერის მსგავსი სკოლისთანა სკოლები გაიხსნებოდეს—და ეს კი ჩვენ მიგვაჩნია ჯერხანად შეუძლებლად,—ყოველი შეგნებული ადამიანის და კერძოთ ქართველის მოვალეობაა—სავსებით თანაუგრძნობდეს ჩვენი თანამემამულის ბ. ზაქ. არჯევანიძის მიერ დაწყებულს საქმეს... მაგრამ „შინაურს მღვდელს შენდობა არა აქვსო", ნათქვამია... კარგი ხანი გავა, სანამ ამ ანდაზას ნიადაგი მოესპობოდეს ჩვენს სამშობლოში..

რომ ჭალვერის სკოლამ იარსებოს და მაგალითად გაუხდეს თვისს მსგავსს მომავალ სკოლებს, საკმაოა ოცდაათი მოწაფე... დარწმუნებული ვართ, რომ ჩვენი საზოგადოება შეიგნებს ჭალვერის სკოლის დიად მნიშვნელობას და მხარს დაუჭერს მის არსებობას...

თუ საზაფხულო სკოლა ბ. არჯევანიძისა ფეხზე დადგა, მას მიეცემა შეძლება გახსნას სხვა უფრო საუკეთესო სკოლაც, სკოლა ჰაერზე, რომლის მოწაფენიც მთელის წლის განმავლობაში ისწავლიან არა სულის შემხუთავს ოთახებში, ოთახის ცივს კედელთ შორის, არამედ სალი, წმინდა ჰაერის საფარის ქვეშე... ამ გარემოებას კი მოყვება მთელი ჩვენი ახალთაობის გამტკიცება ფიზიკურად... და ამით მთელი ერის ფიზიკური გაღონიერება, გამოსაღება...

დღეს ტყიური სკოლა ჩვენში ახალი მოვლენაა... და ამ ახალი მოვლენის მამა— ჩვენი ღვიძლი ძმაა, ჩვენი ერის შვილია.

ტყიური სკოლა—სკოლაა მომავლისა...

მაშ, ვუსურვოთ გამარჯვება ბ. ზ. არჯევანიძეს, როგორც ახალი სკოლის პირველ მერცხალს...

**ილ. ფერაძე.**

## დაბა-სოფლები.

**დ. ხობი.** (ზუგდიდის მაზრა). დ. ხობში ამ უკანასკნელ წლებში დაარსდა წრე, რომლის მეცადინეობითაც აქ დაარსდა სასოფლო ქსენონი (საავადმყოფო), უფასო წიგნსაცავ-სამკითხველო, და წვრილი კრედიტის ამხანაგობა. აქ სცენის მოყვარეებიც არიან, და წარმოდგენაც იშვიათი არ არის. აი, ყველა ეს გვიმტკიცებს აქაური ინტელიგენციის გარჯილობას კულტურულ მუშაობის საქმეში. ვიმედოვნებთ, რომ ახლო მომავალში სხვა კულტურულ დაწესებულებასაც ვეღირსებით დ. ხობში.

სოფელი ჩვენდა სამწუხაროდ, სხვა და სხვა მიზეზისა და უვიცობის გამო კულტურული დაწესებულებით ნაკლებათ სარგებლობს. გასული წლის აგვისტოში ადგილობრივმა წვრილი კრედიტის ამხანაგობამ ხალხს ფული ასესხა. ახლოვდება დრო ფულის შეტანისა. მაგრამ, ხალხი, რომელიც ყოველგვარი უბედურებით დაქანცულია და წელში მოხრილი, შიმშილისგან შეშინებულ-შეწუხებული, ვერ შესძლებს ამ ვალის გადახდას ამ ჟამად. დამშეულ ხალხს სარჩოს საყიდიც არაფერი აბადია და მთავრობიდან მოელის ხსნას.

აი, ასეთ საშინელ ხანაში, საჭიროა მათი დახმარება.

ძლიერ კარგს იზამს დასახელებული ამხანაგობა, იშუამდგომლებდეს, ვისთანაც ჯერ არს და ხალხს მხოლოდ „პროცენტის" შეტანას დაჯერდებოდეს, თავნი ვალის გადახდა კი დროებით დააცალონ ხალხს.

თუ ეს ასე არ მოეწყო, ხალხი უკიდურეს გაჭირვებაში ჩავარდება.

სამკითხველოს ოთხიოდე გაზეთი მოუდი', ისიც გვიანდება ფოსტით. სასურველია, ვინმე ხალხის გულშემატკივარი, ამ საქმეს მეტ ყურადღებას მიაქცევდეს და დროით მიაწვდიდეს ხალხს ახალ-ახალ გაზეთებს.

ამინდი მეტად ცუდი დადგა, ეს აძნელებს მიმოსვლა', რომელიც მეტად საჭიროა ამ საშინელს შიმშილობის დროს.

ზუგდიდის მაზრის სხვა და სხვა სოფლებში ყვავილი თანდათან ვრცელდება.

**პაჭუ ბებიაშვილი.**

---

**დ. აბაშა.** რამდენიმე დღის წინად ადგილობრივ ორ კლასიან სასწავლებლის შენობაში მოხდა საკრედიტო ამხანაგობის წლიური საზოგადო კრების გაგძელება.

კრებას აუარებელი საზოგადოება დაესწრო.

სხვა საკითხებთა შორის გამგეობამ წარუდგინა კრებას ორი უმთავრესი საკითხი გადასაწყვეტათ:

ა) თუ როგორ მოიხმარონ საიმპერიო თანხიდან აღებული მოსალოდნელი სესხი დამშეულთა დასახმარებლად; ბ) და რაზომები მიიღონ სოფლად გავრცელებულ ცუდ ზნე-ჩვეულებათა მოსასპობათ.

ამ კითხვებმა საზოგადოებაში დიდი კამათი გამოიწვია...

ბოლოს კრებამ დაადგინა: ა) საიმპერიო თანხიდან მიღებული სესხის ერთი ნაწილი (ნახევარი) ფულად დაურიგდეს საზოგადოებას, მეორე ნახევარი კი გადაეცეს საკრედიტო ამხანაგობის გამგეობას და დაევალოს მას გამოიწეროს სიმინდი და პური ხელსაყრელ პირობებში.

ბ) მეორე კითხვაზე საზოგადოებამ დაადგინა: მოისპოს სამუდამოთ აღდგომის უქმეებზე „სტოლის" გაწყობა, რაც მხოლოდ ზედმეტ და უსარგებლო ხარჯებს იწვევს. მასთან მოისპოს ყოველნაირი დღეობები და ეცნობოს პრესის საშუალებით საზოგადოებას ეს დადგენილება.

მასთნ გადასწყვიტეს: თუ ვინმე მათგანი დაარღვევს ზემოხსენებულ დადგენილებას, დაუყონებლივ გამორიცხულ იქნას ამხანაგობის წევრთა სიიდან და არავითარი სესხი არ გაეცეს.

— ადგილობრივ ფოსტა-ტელეგრაფის ზედამხედველი და მოხელეები ძლიერ უღიერათ ექცევიან საზოგადოებას .. რაღაც ფარულ მიზეზის გამო, ფოსტას ერთი საათით კეტვენ და ამრიგად საზოგადოება იძულებული ხდება გარეთ უცადოს მათ მთელი საათის განმავლობაში, რომ ღია წერილი ან მარკა შეიძინოს.

**დ—კო.**

## წერილი რედაქციის მიმართ.

**ბ-ნო რედაქტორო!**

ნება მომეცით თქვენი პატივცემული გაზეთის საშუალებით უღრმესი მადლობა გამოუცხადოთ ბ-ნ. ალისტრო სილოვანის ძეს ჩხაიძეს, რომელმაც თავის ნაცნობთა შორის შეკრიბა აცანის (გურია) წ-კ. სამკითხველოს სასარგებლოთ 67 მ. და 2 აბაზი. დიდ მადლობას ვსწირავთ შემომწირველებსაც, რომლებმაც ამ კეთილი საქმისათვის არ დაიშურეს თავისი წვლილი. აქვე მოგვყავს შემომწირველთა სია:

ივანე პატარაიამ, ალ. რ. ჩხარტიშვილმა, ანტონ კონსტ. სალუქვაძემ, ვასო ა. ღომჯარიამ და არსენ გუგუშაძემ სამ-სამი მანეთი. ილარიონ დ. ოოდუამ, სიმონ ქიქიგთარმა, სოკრატ ელ რეგიამ, დიმიტრი გირიელს ძე გაგენავამ, იასონ ხომერიკმა, სპ. მატახერიამ, საშა კონსტ. ასათიანმა ურუშაძემ, და დიომიდე იას. გაგუამ ორ-ორი მანეთი. პოლიკა როსტომის ძე რატიანმა, ვასილ დეთისწყალობის ძე ტიჟუგმა, ვასილი ეზაკელმა, №.№-მა. ევგენი ბ. თოთურიამ, ნოე გ. ურუშაძემ, გერასიმე კეკელიძემ, სიმონ ხავთასმა, გიორგი შარაბიძემ, ვანო დანელიამ, ესტატე ხურციამ, ი. გ. აბაშიძემ, კონსტანტინე კაც. ჭითანავამ, ი. დ. ხანდრავამ, გოგიამ, ვასილ ვასილის ძე ცერცვაძემ, გიორგი გ. ნამგალაძემ, ალისტრო სილოვანის ძე ჩხაიძემ, ანქსენტი მაქსიმეს ძე კაკაჩუკმა, დ ანჯაპარიძემ, ბორის გურგენიძემ—თითო მანეთი. ჩინელმა სიგუმ—1 მ. 10 შ. ი. რ. დღონტმა, პავლე ს. კუციამ, დიომიდე ჩიტაიშვილმა გ. ფეცხალაურმა, დანელიამ, სამუელ გ. ლომიტმა, 3—მ., ვარამან კობახიძემ, ილარიონ გამრეკელიძემ, კვირიკა ჩხაიძემ, ჩინელმა ლიფუასმა მ. გ. სელეზნევმა, დანჩენკომ, ნ. ზახაროვმა, კუზმა სვირიდენკომ, ივანე გორბუნოვმა, ს. ა. ნესისმა, ს ზახაროვმა, ა. კ. აფონკომ, ი. ი. სუსულოვმა, გოსოდანოვმა, ივანე ხოლენსკიმ და ბორის აპრ. ენსკანსონმა ათ-ათი შაური. პავლე ისავის ძემ სავილოვმა, სიმონ დამასნოვმა, ვ ჩერნენკომ და ალექსი ერმაკოვმა ექვს-ექვსი შაური. სტანისლავ კრუპინსკიმ—ხუთი შაური. ტერენტი ...მა, სერგო სალამატინმა, პავლე ზახარჩუკმა, ალექსანდრე ფიდაშენკომ—თითო აბაზი. ივანე სტეპანოვმა—3 შაური. სულ ... 2 აბაზი.

აცანის სამკითხველოს გამგეობის წევრი

**ივანე ზ. ჩხაიძე.**

ეროვნული ბიბლიოთეკა


ქალაქის თეატრი

სადღესასწაულო რეპერტუარი.

ქართველ მსახიობთა ამხანაგობის მიერ ორშაბათს, 23 მარტს,

წარმოდგ. იქნება

ჰამლეტი

ტრაღედია შექსპირისა. ჰამლეტის როლს შეასრ. ბ. ხარდალიშვილი.

ოთხშაბათს, 25 მარტს პირველად ახალი პიესა ჰაუპტმანისა

დაძირული ზარი

ხუთშაბათს, 26 მარტს, **ყაჩაღები** ტრაღედია შილლერისა.

ბილეთები ყველა გამოცხადებულ წარმოდგ. დღეიდან იყიდება მხოლოდ თეატრის კასაში, რომელიც ღიაა დილის 11 საათ. 3-ს ნახევრამდის და სალამოს 5—8 საათ.

**დასაწყისი სალამოს 8 საათზე** რეჟისორი კ. ანდრონიკაშვილი.

ადმინისტრატორი ვასო ურუშაძე. **ადგილების ფასი ჩვეულებრივია.**

---

დაიბეჭდა და თ. მთავრიშვილის წიგნის მაღაზიას მოუვიდა გასაყიდათ

ნ. ს. **ჯორჯიკიას** შემდეგი რუსული წიგნი:

„Критика психологической теорiи права"

Проф. Л. І. Петрожецкаго. ფასი 6 შაური თ.

---

ამერიკული მწარე ვაზი (*rupestris*)

მშრალ მიწაზე გაზდილი, იყიდება ზომიერ ფასად, იკითხეთ კ. ოცხელის წიგნის მაღაზიაში ქუთაისში თ.

---

**თ. ა. მთავრიშვილის და ამხ. წიგნის მაღაზიის საკუთარი გამოცემანი.**

1) ნ. ნიკოლაძე. მამულის სიყვარული და მსახურება. . 20 კაპ.
2) დ. კარიჭაშვილი. ხუცური ანბანი, მეორე გამოც. . 20 კაპ.
3) მღ. პ. ცქიტიშვილი. ლოცვანი, პირველდაწყებითი სკოლებისათვის ფ. 10 კ., ყდით . . 15 კაპ.
4) ქართ. მოძრავი ანბ. ქაღ. 10 კაპ. „იგივე, კარდონზე გაკრული 25 კაპ. „იგივე ორ და სამ-კომპლექ. 50 კაპ.
5) ს. ყიფიანი, შაქარას ნაამბ. 3 კაპ.
6) Архим. Несторъ. Учебникъ Закона божія . . 20 კ.
7) ს. გორგაძე საქართვ. ისტორია ნ. I ისტორიული ქარტით., მეორე გამოცემა . , . 35 კაპ.
8 ალ. გარსევანიშვილის თხზულებ. 9) „Поэтъ Грузіи Акакій "10 კ.
10) ჯავახიშვილი. ქართველი ერის ისტორია.

**აქვე იმყოფება საწყობი შემდეგი წიგნებისა.**

1) გუთანი, ოჯახსა და სკოლებში საკით. წიგ. შედ. ი. ოცხელისა. თ. მთავრიშვილისა და ს. ყიფ. მიერ, სურ., მესამე გამ., ყდით 85 კ.
2) ს. ხუნდაძე. ქარ. გრამატიკა პირველდაწყ. შკოლებ. ყდით 20 კ.
3) ს. რობაქიძე. სამშობლოს აღწერა, საქართ. გეოგრაფიის სახელმძღვანელო, ყდით . 50 კ.
4) არქ. ნესტორი (ყუბანეიშვილი) პირველდაწყებ. დარიგება სღვთო სჯულის სწავლებაზე . 30 კ.
5) ა. ხახანაშვილი. ბატონ-ყმობა საქართველოში . 50 კ.
6) კ. აბაშიძე. ეტიუდები მე XIX ს. ქ. ლიტერატურა შესახებ ტ. I. 70 კ.
7) მისივე. იგივე ტ. II.. 70 კ.
8) ი. შექსპირი. ოტელო, ჰამლეტი და მეფე ციმბელინი ყრმათათვის ნათარგმნი ს. ყიფიანისა . 20 კ.
9) მღ. ა. გერსამია. ლოცვანი, ფ. 10 კ., . . 15 კ.
10) ა. ქიქინაძე. პირველდაწყ. ცოდნა გეოგრაფიისა ფ. 50 კ., ყ. 60 კ.
11) ნ. ნიკ ჩემ პოლიტიკაზე 10 კ.

**რუსული და ქართული კატალოგები მსურველთ უფასოთ ეგზავნებათ.**

---

სპეციალური სახელოსნო

პარმენ ამაღლობელის

(ქუთაისი, ქარვასლის ქუჩა).



**ფეხსაცმელები ევრ. და აზიური,** როგორც კაცის, ისე ქალის. სახლში სახმარებელი ჩუსტები კაცის, ქალის და ბავშების რუსული და ბუხრის ქუდები საუკეთესო კარაკულისა.



ფასები სხვებთან შედარებით დაკლებულია.

---

მმ. ყორყოლაშის მაღაზიაში

ქუთაისში, მიხეილის ქუჩა, საკუთ. სახლი.

მიიღებულია **საპნის საკეთებელი სოდა ბორჯომის წყალი.** საუკეთესო ფირმების სხვადასხვა ცნობილი **აბრეშუმის თესლი.**

**ვენახის ასაკრავი რაფია „ვერმორელის" ქარხნის სარწყავი მანქანები.**

და მისი ყოველივე ნაწილები, აგრეთვე ყოველგვარი ბაკალიური საქონლები.

ფასები ზომიერია.

---

გამოვიდა და იყიდება

ქუთაისის ყველა წიგნის მაღაზიაში

თხზულებანი ჯაჯუ ჯორჯიკიასი.

ფასი 60 კაპ. წ.